

ს ი ა რ



სტახანოვილი:—აჰა! წაიღე შენი გოდრისათვის, აზხ. ნიანგო, გამომუშავების ძველი ნორმები!



ქვემოქვეყნები



ქივილინება



ზვინჯან გაეგონა — ყველაფერი ეს სიკეთე პოეტმა ვასო ფანდურიძემ და ბელეტრისტმა ნიკო კირკიტაძემ შემოქმედებით მივლინებაში წასვლის სურვილი განაცხადეს.

— ჩინებული აზრია! — უპასუხეს მათ — გაფიქვებთ, უზრუნველყოფთ, ოღონდ სიტყვა მოვეცით, რომ პირობას შეასრულებთ. ამასწინად სამი მწერალი გაეგზავნეთ, მაგრამ არც ერთმა არაფერი არ დასწერა...

— ასეთნი არ ვახლავართ! — თითქმის აღშფოთებით წამოიძახა ფანდურიძემ — ჩვენ საქმი გვაინტერესებს... დიანს, საქმე! საბჭოთა საზოგადოებას გვინდა ვემსახუროთ ჩვენი ნიჭისა და კალმით... გავივლით, ქვეყანას თვალს მოვაგვლებთ, გაიგებოებით რესპუბლიკის მშენებლობას და შემდეგ ისეთ ნარკვევებს დაფიქვებთ, რომ ჯერ კაცს ხელით არ დაწერილა.

— იმედიანად ბრძანდებოდეთ! — ჩინით დაუმატა კირკიტაძემ — ჩვენ ვიცოდეთ და ჩვენმა კაცებამ, დაკვირვებით შევისწავლით ყველაფერს, დაწერილებით გავცნობით და მასალების მიხედვით ჯერ ნარკვევებს დაწეროთ, შემდეგ კი რომანსა და პოემასაც. რომ იცოდეთ რა ნიჭიერი ყმაწვილები ვართ! გამოართვის მანდატები, თანხა, დამფინანსებელი ანხანავს, ვისვანაც ეს მიიღეს.

საღამო ხანს მეგობრები ოთახში იჯდნენ და მუშაობის გეგმას ადგენდნენ.

— ცოტა იფიქრეს, თუ ბევრი იფიქრეს — შეადგინეს ვარკვეული გეგმა: ჯერ მოიარონ ცენტრალური მხარე, შემდეგ თამბაქოს რაიონი, მერე გაეცნონ მებაძგებობას, თევზის მრეწველობას, ინახულონ ფერომარგანეცის ქარხანა და თუ დრო დარჩათ რამდენიმე საბჭოთა მეურნეობაც დაათვალიერონ.

მეორე დღეს ჩემოდნებში ჩაალაგეს რაც საჭირო იყო, ბლომად წაიღეს ბლოკნოტები, ფანქრები, ჩაჯდნენ მატარებელში და გაემგზავრნენ.

მზე კარგად ასული იყო. როცა ვასო ფანდურიძემ კუბეში თვალი გაახილა და ფანჯარიდან გადაიხედა. დიანხა ლამაზი კარაიები, ფერდობზე შეფენილი ყანები, მთის ჩქარი მდინარე. მატარებელმა ჩაურბინა ერთ პატარა სოფელს. ვასომ აქ თვალი მოჰკრა ვეზახს და ვერანში გოგონას, რომელსაც მწიფე მტევნები ხელში ეკავა. ამისმა ღანახვამ უნებლიედ ბავშვობა მოაგონა და ოცნებაში გადახსროლა.

უცნაოდ ფანდურიძემ იგრძნო, რომ აიტაცა სურვილმა დაახლოვებოდა ბუნებას. სწევოდა სოფელს და უღარდელი ბავშვობის წუთები განეცადა. ეს სურვილი იმდენად რაოდენიერად აღმოჩნდა, რომ ვეღარ მოითმინა, გააღვიძა მეგობარი და უთხრა:

— ნიკო, იცოდე უარი არ მითხრა ამ თხოვნაზე... გადმოვხტეთ შემდეგ სადგურზე... იქიდან რაღაც ათიოდე კილომეტრია სოფლამდე. იქ მამიდაჩემი ცხოვრობს, მივიღეთ, ფესტონიკით. ძალიან გაუხარდება. დიდ პატარავს გავაყვამ.

ლი მოსდებია ქალაქს! იწვის აქაურობა! ხანძარი, ხანძარი!

— ეგ კარგია, მარა ჩვენი მივლინება? — იკითხა ნიკომ.

— ერთი კიდეგ შენ! — ხელი ჩააქნია ვასომ — რაღაც ორი დღე დავრჩებით მაშინდასთან.. ამით ჩვენ საქმეს რა ზიანი მოუვა? პირიქით, უფრო მეტი ხალხით შევუდგებით რაიონების ვაცნობას!

მეორე ყოყმანის შემდეგ კირკიტაძე დათანხმდა. მეგობრები გადმოვიდნენ სადგურზე და სოფლისკენ ვახს გაუდგნენ.

— ათი კილომეტრია, მეტი არა.. იქნებ თორმეტიც.. ამას შე კაი კაცო ერთ-ორ საათში გავივლით... ცოტა აღმართებია, მარა — ეს ნუ შეგაშინებს.. სამაგვროდ იქიდან რომ დავბრუნდებით, სოფლამდ რომ გვექნება.. შო, რა პარტივისკეში ვეყოლებით მაშინდას! დავგაღრჩობს ხაქაურებით.. მერე და, რა ხაქაურები იცის! შენც არ მომიკვდე ისეთი არსად გექამოს.. კანი თბელი, ნაპირები ჩუქურთმიანი, შიგნით კი ღულს ყველი, თუნბთუნბობს.. შიგნით რომ ვეღარ დატეულია, ხან აგერ გამოგლეჯს კანს და გაიჩნის ხერხეს, ხან იგერ.. ახლა ვარიკებს არ იკითხავ? ნუ მათქვიინებ ამას, თორემ მის გახსენებაზე ისეთ შიდაზე მოვიდებარ ხოლმე, რომ შენ შეგვამ მგონია.. საუცხოვო ეკალა იცის კიდეგ.. ძმრითა და ნიგვზით შეკმაზული.. რაღაც სუნუნელს უშვება.. ლუქმას პირთან მი-



...დაპატივებაზე უარს არაუის ეუბნებოდნენ..

ტან, თუ არა, ისეთი არაომატი გეცემა, რომ ბროს დაგახვევს, დაგარტყანებს.. თუ ერთხელ გემო გაუსინჯავ, ათი ღონა საინი რომ გეცდვას წინ, ყველას მოასუფთავებ და მეათეობამეტეს ინატრობ.. ახლა კიდეგ..

თუ რამე იღვსიე ან თითონ გეშინა, ან

თავის მამიდას მიაწერა ფანდურიძემ და ისეთი სურათი გადაშალა, რომ ძეგოთათა ადამიკოდა სად მიდიოდა — სამოთხეში, თუ ჩვეულებრივ სოფელში.

მამიდამ მართლაც სიხარულით მიიღო ვასო. პატრიც შესატერი — სცა ორივეს, რაგორც კირკიტაძემ შენიშნა, გასაკვირალი არაფერი მოუტანია. მეორე კიდეგ ბოდიშს შეტს ახლიდა მოსუცი მამიდა, ვიდრე მოჰქონდა რამე სუფრასზე. მეორე დღეს ვასო მეორე ნათესავემ გადაიპატიფა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნათესაები კიდეგ ბლომად იყვენ და ყველანი შოინახულეს — დაპატივებზე უარს არაუის ეუბნებოდნენ.

ათი დღის შემდეგ ბელეტრისტ კირკიტაძეს რატომღაც მოაგონდა, რომ უკვე წასვლის დრო დადგა..

— არც მე მინდა აქედან წასვლა, მაგრამ მოვალეობა გვაქვს! — უთხრა მეგობარს, რომელიც კიდეგ უარზე იყო მოშორებოდა აქაურობას.

რას იზამდნენ.. დაემშვიდობნენ, ვახს გაუდგნენ. როცა უკანასკნელად მამიდას ეზოდან გამოდიოდნენ, მეგობრებმა თვალი მოჰკრეს, რომ ჩრდილქვეშ ქალი რაღაც ახირებულ მანქანას ატრიალებდა და რაღაც თეთრი ხიფათიერებას ამუშავებდა.

— ეს რა არის? — იკითხეს მათ.

— ბაშა არის, შვილო! — აუხსნა მამიდა — ჩინობით ვამუშავებთ, მერე დავაშენებთ და დავკაცავთ..

— ა, შე კაი კაცო! — სიხარულით მიიძახა ვასომ ნიკოს — არც სოფლ უსარგებლოდ ჩაუვლია ამ სტუმრობას.. ბაშა ხომ მაინც ენახეთ.. ენახეთ და გავეცანით.. მებაძგობის რაიონში წასვლა ადარ დაგვიკირდება.. წარმოიდგინე ყველაფერი ეს დიდი მამულობით და მორჩა და გაათავდა..

და რომ არ დაეიწყოდეთ, პოეტმა და ბელეტრისტმა თავის, ბლოკნოტებში ჩაიწერეს:

— ერთი კვირა დაფყავით მებაძგებობის რაიონში.. ბაშა თეთრია და იზრდება ჩინობაზე.. რაც შეტს ატრიალებ ჩინობის, მით მეტი მოსაქალია ბაშისა. უნდა ვავაძლიეროთ მეჩინობა..

მთელი გზა, სანამ მატარებელში ისწდნენ, ტკბილ მოგონებაში იყვნენ. იგონებდნენ ყოველ დღეს, ყოველ საათს, რომელიც სოფლად გაატარეს. სწუხდნენ, რომ შეტ ხანს ვერ დარჩენ.

— ენ! — ამოიხენეშა ვასომ — ვულო მიკვდებოდა იქაურობას რომ ვტოვებდი. რა კარგი იქნებოდა ამ ხეტიალის მაგიერ მოეცათ ჩვენთვის ხაქაურების ჭამის მივლინება და მამიდაჩემთან მივემარებინეთ.. აი შენის ასეთი შემოქმედებით მივლინება!

ობრავდა ვასო და ფანჯრიდან ნაღვლიანად იტყვიროდა.

უკუვრდა ხელი ჩაჰკიდა მეგობარს და თითქმის შეჰყვირა:

— ვიბნდუ იქით.. თუ რა ბოლია! ცუცხ



— რამ დააღონა შენი გოგონა? — შეიდი შეილის დამკარგველი დედაა, ხაწყალი! — ერთ კვირაში შეიდი ტყინა დაემსხვრა

შემინებულო წამოვარდა კირკიტაძე, ვაი-ხელა, მაგრამ იმავე წუთში. დაშვრდებით სოჭვა:

— ერთი შენ კიდევ, ვადარეული ხარ! რა ცუცხლი, რის ხანძარი.. ვერ იცანი ფერომარგანეტის ქარხანა?!

ვასო გავირეებით უმხერდა ბოლოში ვას-ვეულ გივაბტ ქარხანას.

— არა ძმაო! — ხელი ჩააქნა ფანდურ-რიძემ — მე აქ მიმსულელი არა ვარ. ასეთ ბოლოში ტანსაცმელსაც გავტყვართლავდ შეიძ-ლება სულაც ვერ ამოვიტყდა.. ან რაღა სა-ჭიროა! სომ შვეხედეთ ქარხანას? დანარჩენს ფანტაზია დაუმატებს..

ყოველშემთხვევისთვის ბლოკნოტი ამოი-ლო და ჩაიწერა:

— ...ზოპარულ სანახობას წარმოად-გემს ჩვენი მშენებლობის გივანტი ფერომარ-განეტის ქარხანა. ფერომარგანეტს ცუცხლი-ღან აკეთებენ. მაგრამ ეს ცუცხლი ცხელი არ არის, მისი ალი ხანძარს ვერ აჩენს, მხოლოდ ბოლოვს. მაგალითად ქარხნის კედლებს არ ვკრდებ. საჭიროა ასეთი თვისების ცუცხლი ღად ქალაქებშიც შემოიღონ. მაშინ სანან-ჩე რაჩმები საჭირო აღარ იქნება და ქალა-ქის საბჭო ხარჯებს ეკენთობას ვასწავს" ..

მეგობრებმა გულდაშვებით ჩაუჭო-ლეს ამ ადგილს და რამდენიმე საღვურის შემდეგ მატარებლიდან ვადმოვიდენ.

— ამ რაიონებშია ციტრუსები? — კით-ხვს მათ პირველ შემხვედრ გლეხს.

— ციტრუსების რა მოვახსენო და. თუ-თა და მყავალი ბლომადაა! — სოჭვა გლეხმა — ციტრუსები ვერ ხარობენ აქ!

— ჩამორჩენილი რაიონი გჭონიათ! — უკმაყოფილო გადაბედა გლეხს ფანდური-ძემ — ლიმონი და მანდარინი მრავალ ვი-ტამინებს შეიცავენ. გემრიელია და მარგებე-ლიც. რა ვაქვთ აბა აქ?

— აქ ტბა არის დიდი! — აყხსნა გლეხ-მა — საქთევნმა აქ დიდი მეურნეობა მოაწყ-ყო. ღირდალი თევზი მოაშენა და უამრავს იჭერენ. ვარჯად დაყენეს საჭმე. ხანავე, დარწმუნდებით!

მეგობრებმა ბლოკნოტები ამოიღეს. და პირველი შთაბეჭდილება ჩაიწერეს:

— ...მეტად ლამაზი ბუნებაა ამ რაიონ-ში. სულ ახლოს სჩანან უდნობი თაველით დაფარული მთები. საშუაზაოდ რაიონი ისე კულტურული არ აღმოჩნდა, როგორც გვე-გონა. რატომღაც აქ სულ არ მისდევს ლი-მონისა და მანდარინის გაშენებას, თუკა მიწა ბევრია და კოდაც დაგინახე. ციტრუ-სების მაგიერ ვხისპირებზე გაშენებულია მყველის ბურღები. ჩხეც მოუვლელია, ბურ-ღებს ეკალი აქვს და ეკბინება. საჭიროა ამ რაიონში მყვეალ-ტრესტი დაარსდეს და გაან-თავისუფლონ მყვეალი ეკლებიდან — გემრიე-ლი ხილის ამ საშინელ მავნებლიდან.. მიე-დივართ ტბისკენ, სადაც თევზის მეურნეობა მოუწყვიათ. სამი კილომეტრით ტბამდე. ეს მეტად გრძელი გზა უნდა გადავლახოთ რაც არ უნდა ვაგვიქირდეს. გზადანა სპეციალუ-რი წიგნებით წინასწარ ვეკნობით თევზის მოშენების საკითხს" ..

ერთი კილომეტრიც არ შქონით ვაელო-ლი, როცა ფანდურიძემ შენიშნა, რომ გზა მაისკენ მიიმართებოდა.

— ხედავ რა აღმართია? — ხელით ანიშ-ნა კირკიტაძემ — რა აგვიყვანს იქ? მღსაკ-ლავი კი არა მაქვს თავი! ბოლოსდაბოლოს რა უნდა ვნახოთ ისეთი.. იქნება ალბად ტბა, ტბაში თევზები, თევზებს ბალით იჭერენ, შემდეგ საცივარში ჩაყრან, დაამზადებენ და ქალაქში გაგზავნიან. სომ გინახავს როგორ იჭერენ თევზს მდინარეში? პოდა, შენც იი-ლე და წამოიღებინე ეს გათიღებული მამ-ტაბით.. მე გმტყვი ფანტაზია არ გეყოფა..

დაებრუნდეთ. სანახაგი სწავც ბევრი გვაქვს! კირკიტაძე უარზე არ წასულა. მეგობ-რებმა უკანასკნელად ახედეს მთას, რის გა-დაღმა ტბა უნდა ყოფილიყო და ბლოკნო-ტებში ჩაიწერეს:

— ...მწვანე ტყის შუაგულში ფარულაის-ფერი უნაპირო ტბა გადაშლილა.. რა ხელი აღწერს იმ სურათს, რომელიც იქ ვნახეთ.. ღოქო, ტარანი, ზუთი და ხიხილალა ისე უამრავად არის მოშენებული, რომ წყალში ადგილი აღარ ყოფნით და ამის გამო ნაწი-ლი მინდორში მოთაყობებით.. საშუაზაოდა თევზებმა ლაპარაკი არ იკოდენ და ამიტომ დაწერილებით ვერ გამოეიკვლიეთ მათი ყო-ფა-ცხოვრება.. მაგრამ ან კი რა საჭირო იყო მათი თქმა, როცა ჩვენ ისედაც ვგდავდა.. როც ისინი ბედნიერად გრძობდენ თავს. შიმშილი მათ არ აწუხებდა და წყურვილი.. როცა მოშვიდებოდით, ხიხილდას სჭამდენ. თუკა, ამხანაგური თეთიკრიციის გზით, ისიც უნდა აღენიშნოთ, რომ ხიხილალა მე-ტად მარილიანია და თევზები იძულებულ-ხდებიან ამისგამო ძალიან ბევრი წყალი სკან. მეურნეობის ხელმძღვანელებმა ამ გარემოე-ბას ყურადღება უნდა მიაქციონ. საჭიროა მარილის ეკონომია. ამის შემდეგ თევზებსაც ისეთი წყურვილი აღარ ეჭნებათ და ნაკლებ წყალს შესვამენ. ამით წყალის ნაკლებობას ავიცილენთ და საშვალება მოგვეცემა მინ-დორში მოთავსებული თევზები რევიოგობით მაინც ტბაში გადავიყვანოთ" ..

ღამდებოდა, როცა მეგობრები საღვურზე დაბრუნდენ.

— იცი რა გითხრა? — მიმართა პოეტმა ფანდურიძემ ბელეტრისტ კირკიტაძეს — მო-ლი ტფილოსში დაებრუნდეთ. ისედაც მრავა-ლი რამ ვნახეთ.. ამდენს რა დაგვაწვიონებს! (დასასრ ახ. 4 გვ.)



ნათელა იორჯელი განთქმულია თავისი მშვენიერებით. იგი გარეგნულ სილამაზესთან ერთად ბუნებრივი ნიჭითაც უხვდაა დაჯილდოებული. ნათელა პროფესიით ბუნხალტერ-ეკონომისტი. მაგრამ იგი თავის პროფესიაზე მეტად მხატვრული ლიტერატურით არის გატაცებული.

ამ ორ თვის წინად ნათელა იორჯელმა მისი ცნობების თანამგზავრიც შეიძინა. ცნობილი მწერალი კაკი მუხურელი.

მუხურელი უაღრესად კმაყოფილია ცნობების თანამგზავრით და თავს ბედნიერების მწვერვალზე გრძობს.

— ჩვენ უკვე ახალი ადამიანები ვართ! — ამბობს ნათელა.

— მოწინავენი — უმატებს მუხურელი.

— იტულისხმება!

— ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ოჯახი, რომელიც კაპიტალიზმიდან სოციალისტურ საზოგადოებაზე გარდამავალ პერიოდის ოჯახის ნიმუში იქნება.

— გარდამავალი პერიოდით ნუ შევზღუდვით; უნდა შევქმნათ ახალი ოჯახი; ეს გამოთქმა ყველაფერს ამბობს.

— სწორია! ეთანხმება მეუღლე და ვენერას ძველ ჭანდაკებას აკვირდება, რომელიც ხელოვნების სხვა მონუმენტთა შორის კაკის მაგიდაზე სდგას, აკვირდება და საუბრის თემას სცვლის:

— კი მარა, თამბაქოსა და ციტრუსების რაიონი არ ვნახოთ? — სთქვა კირკიტაძემ.

— შე კი კაცო, მაგას რა ნახვა უნდა.. თამბაქოს ტფილისშიაც კი აკეთებენ. ქუჩიდან მაინც არ დაგინახავს ჭარხის შენობები? პაპიტოსები „რეკორდი“, „ტემპი“, „ნატახტარი“, „ფერედაცა“ და მრავალი სხვა იქ აკეთდება.. მივიდეთ, ვნახოთ და აღვწეროთ.. ამაზე აღვილო რაა..

— ციტრუსები? — იკითხა კირკიტაძემ.

— მმ.. მაგას კი არ ვიცი რა ვუყოთ! — ნაღვლიანად ჩაქინდრა თავი ფანდურიძემ და ის იყო სალაროსკენ წავიდა ციტრუსების რაიონისკენ ბილიტის საყიდლად, როცა უეცრად სახე გაუბრწყინდა და მეგობარს გახარებულმა შესძახა:

— ევრიკა! ევრიკა! არაა საჭირო!

— რა მოხდა? — გაკვირებული იყო კირკიტაძე.

— ნიჭი ვარ, ხალისი ნიჭი! — შუბლზე ხელს იტყაპუნებდა ფანდურიძე — ბიძა ჩემს ტფილისში ბინაზე აქვს ორი ლიმონის ხე.. კათხებშია ჩარგული.. მე თითონ ვნახე, წყოს ათი ნაყოფი მოიხსა.. ლიმონი ყველგან ლიმონია.. მისი შეხედვით წარმოვიდგინოთ ლიმონების ტყე, მეტი არათერია საჭირო.. ფანტაზიით გავიტანო.. მორჩა და გათავდა!

ეს ჩინებული აზრი ორივეს მოეწონა, ჩაჯდნ მატარებელში და მეორე დღეს უკვე ტფილისში იყვნენ.

ასე დასრულდა მათი ყოფნა შემოქმედებითი მივლინებაში. ამ მეტად ნაყოფიერ, მაგრამ მოგზაურობის შემდეგ ფანდურიძე და კირკიტაძე ერთობ დაღლილად გრძობდნ თავს. აპირებენ ორი კვირა დასვენებას მონღოლურ და შემდეგ ნარკვევების წარსს შეუდგენ. მორე კი გადაწყვიტა იქვე ახალი მივლინება აიღონ, რომ მისცემენ, იმეტიც არა აქვთ.

დონ-გაზილიო

— რა მოუვიდოდა ვენერას, რომ პოეტი ქალი ყოფილიყო?

— ხელების ნაცვლად ფეხი მოტყდებოდა სახელგამში ჰონორარზე სიარულით, — მხიარული ირონიით უპასუხებს კაკი.

კაკის და ნათელას ახალ ოჯახში მეგობრობა სიყვარული და ამხანაგური თანამშრომლობა სუფევს.

მაგრამ მალე ერთი შემთხვევით კაკის გულში ისაღვურებს ის, რაც ახალი ოჯახის საფუძველს ყველაზე მეტად ემუქრება.

იქცე:

კაკი ძირითადში ახალი ადამიანია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის განტვირთული კაპიტალისტური ფსიქიკის ნაშთებისა. კაკის ოცნებაში გრძობდა ცეცხლი, რომელიც მის სიყვარულს ვულკანით ემუქრება. რა არის ამ უჩვეულო იქცის მიერ გამოწვეული ოცნების მიზეზი?

მიზეზი სულ უბრალო შემთხვევა გახლავთ.

გიაგობით.

ოთხი წლის წინათ სახელგამმა ნათელას მიერ თარგმნილი ოც ფორმიანი რომანი გამოსცა.

როცა შემთხვევით ოთხი წლის შემდეგ ნათელამ ერთად მიიღო ჰონორარის ანგარიში ათასი მანეთი.

ნათელამ ამ ფულით ქალის პატარა ოქ-

„საჭმის კაცი“

„ჩაქვის ჩაის ბოსტნეულ კულტურათა საწყობში ბოსტნეული ფუჭდება.“ ნახ. გ. ისაევას.



ილ. ჟღენტი (საწყ. გამგე) — ეს რა მოსავალი მოვიდა ამ წელიწადს, ისე ჩქარა ლბება ოქმის შედგენას ვერც კი ვახსრებს..

როს საათი იყიდა.

„მის მისვლისას მეუღლეს გაუწიდა“

— ნახე!

— ვისია?

— ჩემი! ეს ეს არი ვიციდი.

— კარგია...

— იცი რა მივეცი?

— ?!

— რვაასი მანეთი.

— კარგია... ალბად დღეს სამასხურში შეგებულეხს კომპენსაცია და წარსული თვის ხელფასი ერთად მივიღია.

— არა, კომპენსაციას წლის დამლევამდე არ მალევენ, მაგრამ სამაგიეროდ ს.ხ.ლგამში გავიყო და იქ ავიღე ათასი მანეთი. გამოიკვირდა. არ მოველოდი.

„მომატყუა... ამკარად მომატყუა... სახელგამში ფული ავიღე... სხვა დაწესებულება მაინც დაესახელებია... განა მონდებოდა?... სახელგამში... კეტის დაუტრიალებლად... უჩხუბრად... უდავიდარაბოდ... ათასი მანეთი... არა შეუძლებელია... ამკარად მომატყუა. შევამოწმო ბულალტერიაში? ზედმეტია! შეუძლებელია! მაშ სად იშოვა ათასი მანეთი? ვინ მისცა ოქროს საათი? სახაზინო ფულით შეიძინა?! არა, შეუძლებელია. მეგობარმა ხომ არ ათხოვა?... უთუოდ, უთუოდ, ასე იქნება. ალბად ხუმრობით მითხრა ვიყიდეო“. ფიქრობდა კაკი და ლამის ძილგატეხილმა გათენებინა ძლიერ მოახერხა ნახევრად გულის დამშვიდება.

მეორე დღეს დილით ცოლს არც კი დალაპარაკებია, ისე გავიდა სახლიდან.

სალამოზე წიგნს დაუწყია კითხვა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. მისი ფიქრები სხვა საგანს დასტრიალებდნ. დაწოლის წინ მაგიდაზე ისევ ნათელას ხელიდან მოხსნილ ოქროს საათს შეაღწა თვალი. უნდოდა მეუღლეთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ ბაგე ლოდილით გაუქვავდა; ენა დაება. დაწვა და ისევ მწაჩე ოცნებას მიეცა.

— სახელგამში... უჩხუბრად... უდავიდარაბოდ... კეტის დაუტრიალებლად... ათასი მანათი... როგორ მომატყუა... გაფლანგა ნამდვილად... ბოლდებულის სკამზე... საპატომროში... ნათელა იორჯელი... სოციალისტურ ქონების გატაცებისათვის...

უცებ თვალი გაახილა.

— ნათელა! ნუთუ შენა ხარ?... აქა ხარ?.. — და ბურანიდან გამოიკვია.

— რა მოგივიდა კაკი? ავად ხომ არა ხარ?

— არაფერი... ისე... ცუდი სიზმარი ვნახე...

და კაკიმ თვალები უნებურად ისევ პატარა მაგიდაზე დადებულ ოქროს საათს შეაგლო.

ნათელამ თითქოს გაიგო კაკის აღვლგების მიზეზი, და მალე მონახა გამოსავალი. ლაპარაკი ისევ საათზე ჩამოუგდო და განუცხადა:

— გოშინ ხუმრობით გითხარი თითქოს სახელგამში ჰონორარი მიმეღოს, სამასხურში გამოუყენებელ შეგებულების კომპენსაცია ავიღე და ეს საათი სწორედ იმ ფულით ვიყიდე.

კაკის სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

რამდენიმე წუთში ორივეს დამშვიდებით ჩაეძინათ.

მ-ზა

„იტალიელი ჯარისკაცების ერთ ჯაშუშს პოეტოლოკლად მატლოზიდან ქვები დაუშინეს. ჯარისკაცებს აბისინიელები ეკონათ, მექმინდათ, იარაღი დაპყარეს და გაიქცენ. ჰავრამ მტერი არ გამოედევნა მათ, არც ტყვია გაუსროლიათ ბოლოს გამოიქცვა, რომ ქვები დაუშინეს მაიუნებმა, რომლებიც კვიდრად ბინადრობენ მთებში.“

„დეილი ქრონიკლი“

ეროვნული
გოგლირთქა



1. გაიტანით ეს ვაჟკაცი, გახლავთ წმინდა არიელი. რა ვუყოთ, რომ ბრიყვი არის და თავი აქვს ცარიელი!

წაიკითხა მან დარვინის „სახეების წარმოშობა“, წიგნი წიხლით გადათელა შეუთვალა ავტორს გმობა.



2. ბრაზმა წმინდა არიელი მხეცზე უფრო გაამხეცა. ზოობარკში გაიქცა და.. და მაიმუნს უელში ეცა.

დალოყრა: — რას მიქარავთ? შენ ხარ ჩემი წინაპარი? ერთი ბეწვით შენ რომ გგავდვ, სირჩევნია ვიყო მკვდარი.





3. არიელთა ერთი მოღვა შეეხია სხეების მიწას, და არ მოსწონთ, როცა მკვიდრი თავის მამულს მედგრად იცავს.

უცებ ქვები დაუშინეს ვილაცებმა არიელებს. შეეშინდათ და გაიქცინ, არა შავადენ ტარიელებს.



4. გონს მოვიდენ და გაიგეს ვინც მათ ქვები დაუშინეს. მოლბენ ჩვენი არიელნი, კრძალვით მასთან მიირბინეს.

შევედრა: ვედარა მცნობ? შენ ხარ ჩემი წინაპარი. ჩვენ ერთი ფართ წარმოშობით, ერთმანეთს მეგობარი.



დაღის ჩქარი ნაბიჯებით, —
საქმის კაცს წაგავს,
თუ რომ შეგხვდა, — დასჯებით, —
იმდენს მოგიჩამახავს.
— ასე საით გეჩქარება?
აღბათ კრება თუ გაქვს?
— რა გქნა ბარემ შეჯავრება,
სულ კრებები მლუპავს. —
მაგრამ იცით, მოხსენებებს
მე ვაკეთებ მუდამ,
თურმე ყველა მოითხოვს
და თურმე ყველას უნდა,

რომ ჩემს სიტყვას მოუსმენდეს,
მჭერმეტყველურ სიტყვას
თუმცა ტაშით არ მხვდებიან,
ეს კი უნდა ითქვას —
ასეთები გვყავს და კიდევ
გვეყოლება დიდხანს.
შეხვედრა აქვს მორიდებით
და თაფლივით ენა,
ამბობს: „შრომა გმირობაა,
გმირები ვართ ჩვენა.
ნეტა დღე-ღამე მამუშავა,
დღე კი დარჩეს გრძელთ,

რა საქმეა ისეთი, რომ
ჩემთვის იყოს ძნელი?
მაგრამ ვიცით რას აკეთებს
ამ სიტყვების მოქმელი?
დღით სეირნობს, ღამით სძინავს,
მისგან სხვას ნუ ელით.
ეს მოლასებუ საქმეა კაცი
ვინმეს ეგონება...
გვყავს და აღბათ ასეთებიც
დიდხანს გვეყოლება?


სან.

თავი არ აქვს ქუღუი, მალეზს დასდევს ქუღუი.

მე მინტერესობდა გამეგო, თუ რა მონა-
წილობას ლეზოლობდა ტყიბულოს ახალი
მალაროს ადგილობრივი სტახანოველ მოძრაო-
ბაში. ადგილობრივი ოთახში არაფერს დამხვდა.
მაგიდაზე ქუდი იდგა. ჩამოიჯიქი და დაიუ-
ყადა. ბევრი ვიხადე თუ ცოტა ვიცადა.
შემოვიდა ერთი მუშა.

- ვის ელოდები? — მკითხა მან.
- ადგილობრივი თავმჯდომარის აღბათ
სადმე აქვია მალაროში! — გუთხარი მას.
- რატომ გკონიათ?

ადგილობრივი



— იმიტომ, რომ ქუდი აქ არის. მართა-
ლია დიდი ხანია ველოდები, მაგრამ აღბათ
აქი მალე მოვა.

— ტყუილად გგონიათ, რაკი ამდენ ხანს
არ მოვიდა. დღეს იგი სულ არ მოვა.

— ქუდი რომ აქა აქვს! — გავიცვირე მე.

— სწორედ ეს არის იმისი ნიშანი, რომ
დღეს მას არ სცალია.

— ასეთი რა საქმე აქვს?

— ქეიფობს. დასეირნობს და ამიტომ
არ სცალია. აი ასეთი უთავო ადგილობრივი
გვყავს.

— უთავო თუ არის, ქუდი რად უნდა?

— რომ ქუდმა თავის მაგიერობა გას-
წიოს. დატოვებს ქუდს. რომ მუშებს გვიგო-
ნოს, თითქოს იგი აქვე იყოს სადმე. რო-
გორც ეს თქვენ გგონიათ. გირჩევთ წახვი-
დეთ და თქვენს საქმეს სწავან ეწიოთ! —
მირჩია მან.

— მისი სახელი და გვარი? — შევეკით-
ნე მას.

— გერონტი ქეიშვილი — მომიგო მან
და გამშორდა.

„გერონტი ქეიშვილი“ — ჩავიწერე ბლოკ-
ნოტში და წამოვედი.

ნიანგპორის ბლოკნოსტიკა

ჯერ მათი და ხიჩი... მაზრამ უამდებ — ხიჩი.

შშოდა და შევედი სოფ. ლაშის (ორ-
ჯონიკიძის რ.) გლეხობის სასადილოში.

მოვითხოვე კერძი, მაგრამ შევლიდემ ყუ-
რადღება არ მომაქცია. იგი ელაპარაკებოდა
ხევის სასადილოს გამგეს პ. მაჭავარიანს, ძვე-
ლიდანვე მისი პროფესიის მეგობარს. ისინი
გაწყობილ მაგიდას შიმოსხდომოდნენ. ყური
დავუგდი და გავიგონე მათი ლაპარაკი:

შველიძე: — უფარგისი სასწორი მაქვს,
და პურს ვაკლებ მოშტარს. ყოველდღიუ-
რად ნარტო ამაში მრჩება 10-15 მანეთი.

მაჭავარიანი: — მე, საუბიღუროდ, სას-
წორი კარგი მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ კი-
ლო პურში. რომელიც ღირს 1 მანეთი, ვახ-
დევინებ 3 მანეთს.

შველიძე: — მე ფასებს. ჩემებურად ვა-
დებ პროდუქტს.

მაჭავარიანი: — მეც მასე ვშვრები 100-
200 პროცენტი აუცილებლად უნდა გავარტ-
ლა ზოგიერთ საქონელზე.

შველიძე: — ღვინოში მაქვს ცოტა გამო-
რჩენა და რა გქნა არ ვიცი?

მაჭავარიანი: — მე გასწავლი. ღვინოში
წალი გაჟრიე და ბოთლი 3 მანეთის მა-
გრერ გაჟრიე 5 მანეთად. ეს დიდ მოგებას
იძლევა.

შველიძე: — მასე ვშვრები, მარა კიდევ
მეტი მინდა მოგება.

მაჭავარიანი: — მე, გარდა ამისა, სოფ-
ლად გვიდღეობ სხვადასხვა საქონელს და

სურამში ვგზავნი, მოგებას მეტს ვნახუ-
ლობ! — და მან ხელში აიღო საფსე ჭკა:

— ის ღმერთმა გაუმარჯოს ჩემი სოფლის საბ-
ჭოს თავმჯდომარეს ილია გოგოლაძეს და

კოლმეურნეობის ხელმძღვანელს გრიგოლა-
შვილს, რომლებმაც იციან ჩემი ეს საქმეი,
მაგრამ არაფერს მეუბნებიან. შენც გეუბლე-
ბი, აღბათ, ასეთი ძვირფასები.

შველიძე: — რაფა არ მყავს! მყავს და იმათ
შემოველოს ჩემი თავი. ღმერთმა გაუმარჯოს

გლეხობიდან, კვინიკაძეს და საბჭოდან — მა-
რამ მანჯავაძეს, რომლებიც ხელს არ მიშ-
ლიან, რომ დღევანდელ პირობებში ჩემისანა

ქცვა ძველებურად ქაძოს და სვას!

— ქეები ერთმანეთს მიუჯაყუნეს და გა-
დაჰკრეს!

აბანოზე გოჭლოშია შიგ ვარ შიგა ვარს ლოშია.


როცა ცაგერში მივიდი, ჩემი ყურადღება
შორიდანვე მიიპყრო ახალმა შენობამ.
ადგილობრივი მუშაკის თანხლებით წავე-
დი დასათვალიერებლად.

სახურაზე ბაყაყები კარტს თამაშობდნენ.
კარტს დიდი ბოჭლოში წვიდა.

შიგნიდან ბაყაყების კონკრეტი ისმოდა.
— აღბათ აქ ბაყაყების მოსაშენებელი

პიტომნიკია. ბაყაყებზე ხომ კდებს ანდ-
ნენ! — გავიფიქრე და ჩემს თანამხლებს ვუთ-
ხარი: — რომელი ინსტიტუტის არის ეს ბა-

ყაყების პიტომნიკი?



— ეს პიტომნიკი არ ვახლოვთ!

— როგორ თუ არა! — გამიკვირდა მე.

— არა, ეს აბანოა.

— ასეთი აბანო?

— ორი წლის წინად ააშენეთ, ერთ-ორ-

ჯერ ზაფხულზე კი იბანავა რამდენიმე კაც-

მა, მის შემდეგ ბოჭლოში დაეადეთ და... და

შიგ ბაყაყები გაჩნდნენ. სხვათა შორის აქ რომ

მთელი დღე დარჩეთ, ყოველგვარ გინებას

ისწავლით. მოდიან ტანის დასაბანად და რა-

კი ყოველთვის დაკვირვებს ნახულობენ აბა-

ნოს, საშინლად იგინებიან. სწორედ ამით

აიხსნება, რომ ჩვენს რაიონში ამ ორი წლის

განმავლობაში, ე. ი. აბანოს გაკეთების შემ-

დეგ, ძალზე გაიკვირდა გინება.

„აბანოა უფარგისი,
და პატრონიც მახთან მისი!“ — აღენიშ-
ნე ჩემს ბლოკნოტში და წამოვედი ცაგეო-

ტრანსპორტის „გულგულეში“

„ვერ ტფილისის მიდამოებს არ გავმოკრე ბულოყავით მე და ბებიაჩემი ანანა, გუშინაწინ 80 წელიწადი რომ შეუსრულდა, როცა ბორჯომის მატარებელში ერთი სათვალვე-ბიანი „ბრმა“ შემუსიკე ამოვიდა და მწაორედ დაადიღინა!

„საყვარლის ხაფლავს ვეძებდი...“

ვერ ვნახე დაკარგულიყო...“

გულ ამოსკვნილი ვსტიროდი...“

სადა ხარ ჩემო სულიყო...“

„სიმღერის“ დამთავრებისთანავე ბებიაჩემს მიაღდა.

— ტყუილად ეძებ ჩემს ჯიბეში შენს სულიკოს — მიუგო ბებია — სამ დღეს რომ მდიო, შაურს ვერ გამოშრავდი.

პირველ „მუსიკოსს“ მეორე მოჰყვა: ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის მეტიანურემ დაიწყა:

„ახ უმრუ, ია, უმრუ...“

ბახარონიატ მენია,

ი ნეკტო ნე უზნაეტ

გდე მაგილა მია...“

— რა გატირებს შეილო, მიმართა ბებია — შენს სიკვდილამდე მე მგონი ხუთ-ჯერ მოკვდები, მაგრამ დასაფლავების ფულს აქვსად არავის ვთხოვ!

ათი წუთის შემდეგ მატარებელში ორი შავსათვალეზიანი მოქალაქე შემოვიდა.

— ახლა დაბადებიდან ყრუ-მუნჯი, კოჭლი, უსინათლო გრიქოლა გარმონს დაუკრამს და ახ ტურფას იმღერებს. შეეწიეთ მოქალაქენო — გამოაცხადა ერთმა, მეორემ, გარმონი გაწილა და დაიწყო:

„ახ ტურფავ, ტურფავ“

რატო არ გვევრავს...“

გადარეული დავიარებდი...“

— აჰა აბაზიანი, მუნჯო მომღერალო და გარმონის ყრუ დამკვრელო — მიმართა ბებია ანანამ — მხოლოდ ერთ სათხოვარსა ვთხოვ: წადი რკინის გზის სამმართველოში და მოახსენე: „შენს „ტურფა“ მგზავრებს სჯერათ, რომ გადარეული დაიარები“ და მოსვენებას არ გვაძლე! —

მ. კუხნიცოვი.

სატრანსპორტო არაქი.

რკ. გზის ტრანსპორტზე ერთი მშენებელი მოლა მასრადინა ცნობრობდა. ერთხელ სადგურის აშენება დაავალეს. გავიდა მოლა ტრიალ მინდორზე და ერთი პატარა შენობა წამოჭიმა. „ესეც თქვენი სადგურო“, — თქვა და ამით დაამთავრა თავისი მოლაწეობა.


— ეს სადგურო რომ ააშენე, ჩვენ ბინები არ გვინდა? — შეეკითხნენ სადგურის უფროსი და მისი თანაშემწე მოლას. — ყოველთვის ხომ ტფილისიდან არ ვივლით?

— მე რათა ვქნა, ყოველთვის სურამიდან ვიარო? — ჰკითხა მეორე თანაშემწემ.

— მე კი ხარაგოლიდან აქ ვისეირნო? — თქვა მესამე თანაშემწემ.

— როგორი ტრანსპორტელები ხართ, ამან შევაშინათ, მატარებელს რომელი ბინა სჯობია. დაჯექით და თავისუფალ დროს აქეთ-იქით ისეირნეთ! — მიუგო მოლამ.

მოლა დალოლი იყო და ამ ლაპარაკის დროს პური მომიგდა. მიიხედა-მოიხედა, არსად არ იშოვნებოდა. ჩაფიქრდა. კიდევ მიიხედა-მოიხედა, შობლზე თითი მიიღო, ამ სადგურს ზაპუსი უწოდა და ავკალისკენ გაეშურა პურის სისყიდლად...



ჩვენი მორიგე ასრულებს მადვირობას მორისა, იგია გამჩერებელი მატარებლის შორისა.

არ ვააღვიძოთ მორიგე, მას სიზმრები აქვს ტკბილი, რა ვუყოთ მერე, რომ ხაზი ამიტომ დაკეტილია.

მფხადის მოყვარული დალაქი.

სადგ. წნორის წყალს საპარკმანერო არა ჰქონდა. მოსთხოვა რკინის გზამ წითელ ჯვარს პარკმანერი და ერთ კვირაში გაიხსნა წნორის წყლის სადგურზე საპარკმანერი. სადგურის თანამშრომლებმა წვერები გაიპარეს, ყოლაშები შეიკრიჭეს, გალამაზდნენ. პარკმანერს ფოლი და მადლობა გადაუხადეს და თავს კმაყოფილად გრძობდნენ. პარკმანერი კი არ იყო კმაყოფილი, რადგანაც მას თურბე (ხელ-ჩელი მწკადები ჰყვარებოდა და წნორის წყალს სადგურზე კი ასეთი რამ არ მოიპოვებოდა. ჰინართო პარკმანერმა სადგურის კომპერატორის გამგის, რომ „ძნელი არ იყო პატარა მაყალის შეძენა და მწკადების გაჩენა“, მაგრამ პარკმანერის საქმიანი წინადადება ვერ დააკმაყოფილეს. გაბრაზდა პარკმანერი: ასუნა, დასუნა და ბაზრიდან მოუვიდა მწკადებს სუნთ. რაღას იზამდა: ადგა და თავისი საპარკმანეროიანად ბაზარში გადასახლდა.

წითელ ჯვარს გვეკითხებოთ: ხომ არ იხებებს და პატრეკრემულ პარკმანერს სახინკლესაც არ გაუღებს საპარკმანეროს გვერდით?

„მე და მთვარე“

მესამე სალიანდაგო დისტანციას ერთი ფრიად საპატიო კაცი ჰყავს. ყოველ ორ კვირაში ერთხელ ამ საპატიო კაცს რკინის გზის მუშები აიღვენებოან და დაუწყებენ:

— ჩვენი მზე ხარ, ჩვენი მთვარე,

— ჩვენი ძმა ხარ, ჩვენი პირის ზიარება,

— შენ რომ არ გვეყვდვ დავიღუპებოდით!

— უშენოთ წითელი დაფაც არ ვარაგა! არავინ იფიქროს: თითქო ეს საპატიო კაცი სტანანოველია, ან გვემას ყოველთვის გა-

დაპარბებით ასრულებს, ან—აწალი უთვლო და ულიანდაგო მატარებელი გამოვიგონოს, სრულიდაც არა. თქვენი თანამშრომელი რომ იყოს, ყოველ ორკვირაში ერთხელ შევდაფახე წაიკითხავდით მის გვარს, მაგრამ თქვენ რომ მე-3 სალიანდაგო დისტანციის თანამშრომელი იყოთ სხვებიც თქვენც „მზე და მთვარეს“ დაუძახებდით, რადგან ეს კაცი დამრიგებელი მეთარტელია (ჩართოლოდ მოლარის უძახიან) და თუ არ ასიამოვნეთ სახელგამის კლიენტების ბედში ჩაყარდებით.


ვალად ვინ აიღვას?

სადგურ რიონში შემთავალმა მატარებელმა, რომ პირველ ხაზზე შესვლა მოიწადინოს—მიხოთე ხაზზე გადავარდობა. მეხუთე ხაზზე შემთავალი მატარებელი ხშირად პირველში შიღის ან და მოწყვრტილი ყოლი მე-სამე ხაზზე დაოხვდებო მეორე ხაზზე ჩამოვდვარს. არ იფიქროთ, თითქოს ეს ყველაფერი მისრეების ბრალი იყოს: ღვიწიო გალუ-შილებს სადმე ეძინოთ და მატარებლები უგზო-უკვლოდ დასტირობდნენ სადგურში. არა: მისრეები უფრო მეტს წვალობენ ამ მიზეზის გამო, მაგრამ... მაგრამ სადგურის უფროსისა არ იყოს, მოშლილი ისრებიც არ ემორჩილებათ.

მისრეებს გადაწყვეტილი აქვთ ოცნებულ-ცილიანი არაზა გაუგზავნონ ამის შესახებ რკინის გზის სამმართველოს, მაგრამ ეს არ უშველის. ჩვენი აზრით უმჯობესი იქნება გამოვგონებლობას მიმართონ და ისეთი ისრები გამოიგონონ, რომ ზურგზე ხელობდაწყობილ სადგურის უფროსს — ეავგორას რიონის სადგურიდან საითმე „გადაახვეიონ“.

— აი.

საქართველო
განათლების



— ეს არის პ-ნი... ეს არის ბ-ანი... ჩაიწერეთ და ისწავლეთ!
— როგორ ჩავიწეროთ და ვისწავლოთ, როცა არა ვაქვს წიგნი, რვეული და ფანქარი.
— ახლა მიხვდით, რომ უამთოდ ხწვალა არ შეიძლება?!

ლევანი აბანოების მახლობლად ცხოვრობს.

დილით საშხაპურში წასვლამდე პურის საყიდლად წავიდა. პურის წერტი ახლოს იყო მოსახვევის კუთხეში. მისი ფანჯრიდანაც მოჩანდა.

გამოვიდა თუ არა სახლიდან, თვალი მოჰკრა მისკენ მომავალ ქალს, რომელიც მას მოსწონდა.

— ასე ჩაცმული როგორ შევხვდე, პირიც კი არა მაქვს დაბანილი. წვერიც გაუბარსავე მაქვს! — გაიფიქრა მან და, თითქოს არ დაუხანაის ქალი, სხვა ქუჩით წავიდა პურის წერტიში.

ის იყო უნდა შესულიყო პურის სავაჭროში, რომ დაინახა — იქიდან გამოდიოდა ნაცნობი, რომლისაც მას ემართა ოკი მანეთი. ლევანს შერაცხვა მასთან შეხვედრა და საჩქაროდ მოტრიალდა და გზა განაგრძო აჩქარებული ნაბიჯით, თითქოს საშხაპურში მიეჩქარებო.

უკვე მოედანზე გამოვიდა და იქვე აპირებდა პურის სავაჭროში შესვლას, რომ სახლიდან განოვიდა მისი ყოფილი გამგე, რომელმაც იგი შემცირებაში მოაყოლა. გვერდი აუარა მას და ხიდისკენ წავიდა. ხიდზე რომ გავიდა, შემოტრიალდა და დააპირა უკან დაბრუნება სახლისკენ. მაგრამ დაინახა, რომ მისკენ მიდიოდა მოქალაქე, რომელმაც ორიოდი დღის წინად ტრამვაის ვაგონში ასვლისას ჩხუბი უყო და ორთავენი წაიყვანეს საბილიციო უბანში.

მორცხვი

ლევანი მაშინვე შემოტრიალდა და გზა განაგრძო, რომ იქვე მეორე ხიდიდან დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ ხიდზე დაინახა მისკენ მომავალი ის ქალი, რომელიც მას მოსწონდა და რომელსაც პირველად შეხვდა დილით სახლიდან პურის საყიდლად გამოსვლის დროს.

ლევანმა გაიარა ქარვასლა და გავიდა რიყეზე. ბაზრის თავში თავისი სოფლელები დაინახა. ერთმა მათგანმა მგონი კიდევ იცხოვრებდა და მისკენ წამოვიდა. ეს შენიშნა ლევანმა და შეახტა ტრამვაის დაძრულ ვაგონს.

კარლ მარქსის მოედანს რომ მოუახლოვდა, (მანამდე ვერ შეძლო ჩამოსვლა) გაჩერებამდე გადმოხტა ვაგონიდან. ვერ უშველა წინასწარ დათვლილებამ — მილიციელი ხომ არ მიყურებდა. ჩამოხტა თუ არა, მასთან მილიციელი გაჩნდა.

— სამი მანეთი ჯარიმა გაჩერებამდე გადმოხტომისათვის! — უთხრა მილიციელმა მას და ქვითარი მოხია.

ლევანი გაწითლდა. ამოიღო და მისცა მილიციელს პურის საყიდლად წამოღებულ ხუთი მანეთიდან სამი მანეთი.

— სახლში უპოროდ როგორ დაებრუნდე? მაგრამ არა უშავს. ერთ კილოს ვიყიდი. მეტი არ იყო, გათავდა-მოთქი ვიტყვი! — ნერვიულობდა ლევანი და ბალს უახლოვდებოდა, რომ ნაცნობი დაინახა.

— ყველაფერს შემატყობს, ან და რომ

გამომკითხოვს! — გაიფიქრა მან და ნაცვლად იმისა, რომ ბაზრისკენ წასულიყო, ჯორჯიაშვილის ქუჩისკენ შეიხებია.

მკითხველს რომ თავი არ მოვადებო, მოკლედ ვიტყვი, რომ ლევანი ჯორჯიაშვილის ქუჩიდან ძნელადის ქუჩაზე გავიდა, აქედან — რუსთველის პროსპექტზე ობე ასთან და აპირებდა შინისკენ წასვლას. მაგრამ კიდევ დაინახა ნაცნობი, რომელსაც მისი ემართა ოკი მანეთი. ნაცნობი დაჩვიული იყო ფულის დასესხებაზე.

— ალბათ ახლაც დამესესხება, ჯიბეში გროშები მაქვს და სირცხვილს გქვამს! — გაიფიქრა მან და ჩაჯდა ვაკესკენ მიმავალ ვაგონში.

მაინც გვიგრიძეობდა ამბავი, მაგრამ იმით დაეამთავრებო, რომ ვაკედან ლევანი სადგურში მოხვდა. სადგურიდან — ნაძალადეგში. იქიდან კი, როგორც აქნა, დაბრუნდა შინ უპუროდ, რადგან ჯარიმის შემდეგ რაც ფული დარჩა, ტრამვაიში დაიხარჯა.

ოჯახი კი შეწრიალებულიყო. საშხაპურშიაც გაეგზავნათ კაცი. მილიციასაც დაურევს, საავადმყოფოშიაც მოიკითხეს.

— სად იყავი ამდენ ხანს, რომ შიშით დაგვხოცი ყველანი? — ეკითხებოდნენ ოჯახში.

— ამხანაგი შემხიდა და ავადმყოფ მარტონელა ამხანაგთან წამიყვანა. მარტონ ვერ დაგტოვე. პურის ფულიც მათ დაგტოვე! — იტრუა ლევანმა.

მართლაც ასე ეგონა ოჯახში ყოველს. ისეა.

ახალგაზრდამ, ცოტათ თუ ბევრად ცნობილმა დრამატურგმა, თეატრს პიესა მიუტანა. დირექტორმა პიესა მიიღო და ავტორს შეეკითხა:

- როგორ დამოკიდებულებაში ბრძანდებით რომელად თედორესძესთან?
- რა მოგახსენოთ, ჩვენ შორის დამოკიდებულება ყოველთვის კარგი იყო.
- ეს მიბრძანეთ, თქვენს პიესაში რამ დენია?
- რა რამდენია?
- ქალების როლები?
- რვა.
- ო, ეს ცოტაა.. ჩვენთვის საჭირო იქნება არა ნაკლები თორმეტისა. მოქმედება რამდენია?
- ხუთი.
- არა უშავს. შეიძლება სამად გადავავლოთ, რომ თორმეტს ნახვარზე სპექტაკლი გავათავოთ. მუსიკა?
- მუსიკა ხომ ჩვენ არ გვჭირდება? ეს ხომ დრამაა?
- არა ყმაწვილო, მუსიკა აუცილებელია, რომ სპექტაკლს მხიარულება მიეცეს. რომელად თედორესძეს უყვარს მხიარული პიესები. სტუდენტები ხომ არიან?
- სად?
- თქვენს პიესაში?
- მხოლოდ ერთა და ისიც ნამდვილი სტუდენტი არ არის. სადმეშენებლო ინსტიტუტისთვის ემზადება.
- კომკავშირელი?
- არის.
- მეტროდან არაფერ არის?
- არა.
- რატომ არ შეიძლება მეტროდან პარ-

ტიული ქალი იყოს? საშხედრო პირები თუ გყავთ?


- როგორ არა, არტილერისტი.
- აკადემიკია?
- არა.
- რატომ არ შეიძლება აკადემიკი იყოს? პროფესორები არ გყავთ?
- არიან.
- ძალიან კარგი. ნახვამდის.
- როდის მიბრძანებთ შემოვიარო?
- ოთხი თვის შემდეგ.
- ოთხი თვის?
- რატომ გიკვირთ?
- პასუხისათვის ოთხი თვის შემდეგ?
- არაფერსა თუ პასუხი. თქვენ მობრძანდებით საზოგადოებრივ განხილვაზე. თქვენს პიესა დაიდგება. გილოცავთ.
- თქვენ ხომ ჯერ არ წავიკითხავთ?
- წავიკითხვა არ არის საჭირო...
- მაშ, საიდან იცით, რომ ის დაიდგება?
- ალბათ ვიცი. ნახვამდის. ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა და მასთან ცნობილი დრამატურგი შედის დირექტორის კაბინეტში.
- მიიღეთ ახალი პიესა. რომელად თედორესძე ამ პიესით აღტაცებულია. ხუთმეტი ქალი, ათი კაცი, ხუთი მეტროელი, ხუთი ტრამვაელი, სტუდენტები. მუსიკა. სამი მოქმედება. სამასი წარმოდგენა უზრუნველყოფილია.
- შემოიარეთ ორი კვირის შემდეგ.
- ნუ თუ ორ კვირაში მოასწრობთ?
- რატომ არა? პატარა პიესაა, 50 გვერდი. დღეში რომ სამი გვერდი წავიკითხო, მაინც მოვასწრებ.

- მე მეგონა ორ კვირაში დადგამდით.
- რას ბრძანებთ? ჯერ ხომ უნდა წავიკითხოთ?
- რატომ უნდა წავიკითხოთ? რატომ უნდა თედორესძეს ხომ მოსწონს?
- რომელად თედორესძეს თუ მოსწონს მან დადგას. მე კი მინდა ხალხს მოეწონოს.
- საკვირველია, რა შუაშია ხალხი? განა უხალხოდ არ შეიძლება პიესის დადგმა... შეიძლება მოვრეკოთ პროფესორები, სტუდენტები, მეტროელები, ტრამვაელები და სხ.
- ეჰე.
- რა ეჰე? მე თქვენ შაშინებთ! რა მოხდება?
- მხოლოდ სალაროდან. ამხანაგო!
- რა მხოლოდ სალაროდან?
- ბილეთები ჩემო კარგო. ბილეთები.
- ეჰე, მერე და შეიძლება სალაროდან ბილეთები არ გაიყიდოს?
- სწორედ მაგაშია საქმე?
- მერე და როგორ უნდა მოვიქცე?
- სწერეთ ისეთი პიესები, რომ ხალხს მოეწონოს.
- სიტყვით ადვილი საქმეა... თქვენ პირდაპირ გამანადგურეთ... მე მაინც ორ კვირის შემდეგ გამოვივლი პასუხისათვის, და თუ პიესა შესასწორებელი იქნება, იმედია, რომ...
- მაშინ პიესას ვერ მივიღებთ. ცუდი პიესა ჩვენ არ გვინდა.
- დრამატურგი მიდიოდა და თავისთვის ლაპარაკობდა:
- ოჰო, ცუდი პიესა არ უნდათ. ეს პირდაპირ პარადოქსია... და ეს ხდება დღეს ოქტომბრის თვრამეტე წლის თავზე.

თარგმნა: ს. მ-ლის.

ზოგიერთი ადგილკომის მიერ მოწვეული მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება

ნახ. კანდელაკის



კრების თავმჯდომარე: — ამხანაგო სირგო! შინც კრების პრეზიდიუმში ხარ ჩვენსავით არჩეული. მაგრამ ვინაიდან დამსწრე ხე არ არიან, ვთხოვთ იჯდე მანდ როგორც დამსწრე, რომ კრება კასისთვის ჩავთვალოთ.

საბირო აგავი

სახმართლოს უსახებ


გ ა გ რ ნ ი ლ ი

საბარეჭოები


სადაც მოღვაწეობდენ გმირნი

მსგავსი აგვისა

ნახ. ღონის



სახმართლო მობრძანება ვთხოვთ აბრძანდეთ!



დღეს ერთს მშენიერს სახმართლო ესე წარსდგა სახმართლოს წინაშე, სადაც ნახა მან ღმერთი სამართლისა—ფემიდა. და რქვა ერთმა:


— რატომ აქვს ღმერთსა ფემიდისა თვალნი ახვეულნი? ხომ არა ტკივა?

— რომ არ დაინახოს თვალახვეულმა სამართლეს კაცისაგან?

— ალბათ შერცხვა თქვენი ცული საქციელისა და აიხვია თვალნი თვისნი.

ჭკუა დასეფული

ქართული
გეგლიოთეკა



— მა, წაიღე, ჩაიცვი ეს პალტო!
— რას ამბობ! მაგ რომ ჩავიცვა, მოწალებას ვილა მომცემს?



და წარასხვებ იდგინეს, რომელსაც ეწოდებინ ვამსახლი და რა შეიყვანეს ალყაფის კარებსა, იცნეს მისჯილმა მოსამართლენი თვისი და მიიხალმენ მათე

— სამამართლო მობრძანება, ვთხოვთ დაბრძანდეთ!

სად გაიშვეს ზაირა, იმ ზაირის, აი რა ანუ საყვებელი ლიტვაკულ-ტაბს.

ამს. ნიანგო! გთხოვთ საყვედური გამო-
უცხადო ტფ. საბ. უნივერსიტეტის ლიტერატურ-
ულტრეს დაშვებულ შუკლომისათვის. საქ-
მი ის არის, რომ თანახმად მომჩივან „ზაი-
რას“ (ფსევდონიმია) განცხადებისა, ფაკულ-
ტეტს იგი დაუთხოვინა რუსული ენის უცო-
დინარობისათვის. ეს დახრება „ზაირამ“
თქვენთან გაასაჩივრა, საინვირიდან ჩანს, რომ
იგი უპირველეს ყოვლისა ქართული ენის
უცოდინარობისათვის უნდა დაუთხოვინა.

იმსი

სადათან... სიმთვრალე

ამს. ნიანგო! ნუ თუ საჩუქრად მეც-
ნიერებას, ჭიმიას ან სხვა რაიმე დარგს ჯერ
არ აღმოუჩენია ისეთი ძლიერად მომქმედი
საშუალება, რომ ბახუსის ტყვეობისაგან
გაგათავისუფლოთ და გამოვაფხიზლოთ ცხა-
კაიას რაიონის თეკლათის სას. საბჭოს თავ-
მჯდომარე ვასო ფიფია? თუ მართლა,
მიინიერება შერცხვენილია ფიფიას წინაშე,
შაშინ კოტე ფოცხვერაშვილს. მიჰმარა-
თეთ, იქნებ სადმე შემონახული ჰქონდეს
ორიოდე გრამი გამოსალოცი სიმოკრა.

მორიფლი,

უციფრო არითმეტიკული ამოცანა.

ცხაკაიას რაიონის ფინგანყოფილების
გამგესთან შედის ადგილობრივი მუშაკი და
სთხოვს სამი თვის მიოღობელ ხელფასს.
გამგე ეუბნება: „პოშოლ გონ დურაკო“.
უნდა გავიგოთ რომელს უფრო მოუხ-
დება ეს სააღერსო რუსული—მთქმელს თუ
მთხოვნელს?

მ-ი.

ახლა კი ციფრანი ამოცანა

სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშის საბ-
გაქრობის მალახიის გამგე გრ ბერადი 16
მანეთიან ფენსაქმელს 29 მანეთად ჰყიდის.
უნდა გავიგოთ: რამდენი წყვილი ფეხ-
საქმელი ვაყიდა ამ ფასად და რომელ დაკ-
თარებში ვაატარა „მოგება“?

მონაელი

ჩამოიწეროს

გვშურს ჩოხატაურის „ბაღ-ბოსტნის
დირექტორის უზანგი ცინცაძის ენერგია.
„დილიდან საღამომდისინ არა აქვს მოსვენე-
ბა“. შის და აქტებს სწერს. მორე რა გრძ-
ნობით, რა გატაკებით, რა რიგ აღგზნებით!
„დაიმტვრა ამდენი და ამდენი ყუთი ჩამოი-
წეროს“. დალპა 10 ტონა ზილი. ჩამოიწე-
როს“. „დაიღვარა 40 კილოგრამი მურაბა.
დაიღვაროს“ ისი გაიტაკებინ ბოლოში აქტების
წერა, რომ როცა ეუბნებიან, „ალარაფერო
დამპალო“, გული დაეთუთქება და წყო-
მით იტყვის: „დავიჯერო არაფერი დაკარ-
გულა, არ გამტყდარა, არ დაფანტულა, არ
შეკმულა?!“ აი რას ნიშნავს საქმის კაცი!
ამს. ნიანგო! მოდი, ერთი აქტი შენც
დასწერე. ასეთი შინაარსის:
„წახდა ჩოხატაურის „ბაღ-ბოსტნის“
დირექტორი უზანგი ცინცაძე, ჩამოიწეროს“.

კიმი.

მეცნიერების საზსახური

სოფ. ფშაველი, თელავის რ.

ამს. ნიანგო! ძალიანა გთხოვთ გვიშუამ-
დგომლოთ ვისთანაც ჯერ არს, რათა თელა-
ვის რაიონის სოფ. ფშაველის კოოპერატივ-
ში გამოგზავნონ ენტონოლოგების ექსპედი-
ცია. დარწმუნებული ვარ, აქ აღმოაჩენენ
მწერების, ჭივების, მატლებისა და ბუზების
ძვეთ სახეებს, რომელთაც მეცნიერება არ
იცნობს. თვით კოოპერატივში და მის ირგვ-
ლივ მუშკის და ამბარის ისეთი სოქრნელება,
რომ ექსპედიციის წევრნი სიამოვნებისაგან
დაიბნიდებიან. ამას კოოპერატივმა კულტუ-
რული ვაჭრობით მიიღწია. ჯერ ერთი, ბინა
იქ ამოირჩია, საცა ბაკებია გაბართული და
საცა საჭონელი იკვლება. კოოპერატივი უხ-
ვად არის მომარაგებული ნედლი სასუქი მა-
სალით, რომელსაც ხარკამენი უშოალოდ
კოოპერატივთან იძლევიან. აქ ყრია დაკ-
ლული საქონლის ფაშე-ნაწლავი, რომელშიც
დაფრესფრესებს უთვალავი სახის და ნაირნა-
ირი ზომის მწერი თავისი კვერცხებით, ჭუპ-
რით და მურით.

თუ სანიტარია გაუწყრება ფშაველის
კოოპერატივს, სამაგიეროდ ენტონოლოგია
დაუფასებს დეფულს მეცნიერების წინაშე.

მ. რ-ი.

საუბარი მისვალეზუფრეხეული

სათანადო გაერთიანებთა გეროვნადი
ხელმძღვანელობის შედეგად მოხდა აბაშის სა-
რეწო არტელების „ახალი ნაბიჯის“, „მშ-
რომელის ქალის“ და „მუშის გრდემლის“
ლიკვიდაცია. ეს არტელები „ვით მოჭროლი
ხე, პირქვე დაემხნენ“; ამის შემყურემ „ხე-
რი იტირიე და ვივაგლანე“.

მაგრამ ამს. ნიანგო, ერთი უცნაური
ამბავი ხდება. სიცოცხლის დროს ეს არტე-
ლები არავის გზხსენებია; როგორც კი გარ-
დაიცვალნენ, წამოვიდა ცირკულარულა.სა და
მიმართების სეტყვა. დიდი მიწირ-მოწერა
გააბეს მიცვალებულებთან საფეიქრო სამშა-
რთველომ, ლითონსამშართველომ, სამთო
სამშართველომ და სხ.

„თანახმად პრეზიდენტის დადგინლე-
ბისა გევალებათ გამოპკოთ...“ „მოდებისთა
ნაგე ორი დღის განმავლობაში უნდა შეაფ-
სოთ ამასთანავე დართული ფორმები...“
„არა უგვიანეს ერთი კვირისა გეაცნობეთ...“

ამ ამბის გაგონებაზე მიცვალებული
არტელების „სულეები“ „საიჭიოში“ ირრანი-
ულად იცინიან.

ვახო.


შესაძლებელია?

ნაბ. ლომიძის

სამტრედიის საორთქმავალო. საყუდის სატრაქტო-
ნო ხაზებში დგას მანუთისა და წყლის გუბები: 3მ-2
ვაშაკიდე ამ მდგომარეობას უურადლებას არ აქცევს.



ვაუ. იქი:—ზღვაში ვზნავ და ზღვაში ვთხავ
ხმელეთზე ვინალარებ თევზსა.



— რა უყრისა და რა გეგმის არის უამარი?
— არ ვიცვი

უცხოეთის იუმორი
მეცხეაქაშე



— ეს დინოზავრი 15 ათასი წლისა და ცხრა თვის არის.
— საიდან იცით ასე ზუსტად?
— როცა მე ამ მუზეუმში მუშაობა დავიწყე, მაშინ მითხრეს, რომ ეს დინოზავრი იყო 15 ათასი წლის. მე კი მუშაობა აქ ცხრა თვის წინად დავიწყე

უცხოეთის იუმორი
აფრიკაში



— ამბობენ რომ ეს ომი უკანასკნელი იქნება!

უურნალ
„ნოანბის“
№ 20
გ ა გ ო ვ ა
28 დეკემბერს

სოფ. ვაზიანის (ჩოხ. რ.) არტელის ჩაის პლანტაციებს პირუტყვი ანადგურებს.

ეროვნული გიგლირთქვა

„უჩინებენ ბიჭები“

ალარ მუშაობს, დადუმდა ახალგაზრდის რადიო, უჩინებენ ბიჭები ეს ერთი წელიწადი,

ბევრმა აიღო შეფობა მაგრამ ვერავინ უშველა: ზოგი ჩაქუჩს სკივს, ზოგი ცულს, და ზოგიც რას არ უშვრება...

ზურ. სუტიშვილი

ახალდაბა

ნიანგოჯან, გეხვეწები ძათია: გვიხსულო, თუ კი დრო გაქვს გცალია.

სიბინძურემ მოგესპო, გაგვანადგურა. სამკითხველო, კლუბი, დაისადგურა,

შიგნით. გარეთ სადაგელი სუნია... გამგეობას თავი ჩაულუნია...

3. ნ—ლი.

ბულდანას სიმღერა

(სოფ. ფაველი. თელავის რაიონი)

კოპნოქარსა ფშავლისა სახელად მჭვიან ბულდანა. „საქონელ მამაჲ“ და ვყიდი ჩემს ნაცნობებზე მუღამა.

ლურჯას ვაგალობ. დავჭრივარ, ხელში მიჭირავს შოლტია, ყოველდღე მოაქვთ საჩუქრად ხაჭაპური და შოთია...

შ. რაიგული.

დახარჯა 600 მანეთი და სასაქლო ააშენა.

ამ ფიცრის სასაქლოს მკვდარი ძალი- ვით დაათრევენ: ჯერ ერთ ადგილას იყო, გადმოითრის და იორის სანაპირო დაამშვენეს. იქაც გაყინული სდგას, ვისაც სად მოესურვება, იქა ჰკლავს საქონელს: ტყავი ვის ბარდება, ხორცი სად მიდის. არავინ იცის..

ნოქარს, ფიცხელაურს წაერხება:

— დასვენების დღესაც უნდა იმუშავო...

— შე კი კაცო, მკვდარს ასე უბენ,

ცოცხალ ადამიანს, არ დამასვენებ?!... — გაიკვირვა ფიცხელაურმა, მაგრამ ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ საგარეჯოს რაი- კოპკავშირის იორლა (ქენი დღესაც დააქრო- ლებს ამ „დიდ კაც“ ვანუას.

არბმეა.

წერილი მეგობარს

გამარჯობა გიორგი! ვიცი, რომ კათვით იქნები, ნეტაჲ შენსა- ვით მონერხებული და იღბლიანი მე ვიყო. გავიგე, რომ სატყეო ინსტიტუტში სატრანს- პორტო ფაკ. პროფკომის თავმჯდომარედ ყოფილხარ. ბიჭობაც მაგასა ჰქვია. მხოლოდ ჩვენს შორის დარჩეს და ამ ორი წლის წი- ნად რომ 20 პურის წიგნაკი გაყიდე და 250 მანეთი სტუდენტების სტიპენდიიდან ააცან- ცლე, სხვა რომ ყოფილიყო ხომ არ შერჩებო- და? დაილოცა ძმა ბიჭები და შინი მარიდა- თი. სანამ პურზე ბარათები იყო შენი წყალო- ვით 5 წიგნაკი მჭონდა. შენი არჩევის დროს ვილაც- ვილაციებს უთქვამთ შენი „საქმენი საგმირონი“ მაგრამ შენს ძმა ბიჭებს უბასუხ- ნით: „პურის წიგნაკები გაუქმდა და ის ბრალდებაც გაუქმდა“. ყველაზე ღფრო ის მიკვირს რომ პარტდოკუმენტების შემოწმე- ბის დროს, ვერ გაიგეს შენი კვალობა, მაგრამ აქაც უმადლო მძაბრქებს. იყავი სულ შენებუ- რად. რა გიკირს რატან ვაღარი და პურის წიგნაკების გაუქმებას შენც არ გაგაყოლებს, ახლა ხმას ველარავინ გავცემს.

შენი ზოგნა.



არბ. შ-რე: — ჩვენისთანა მოზავალი წელს არავის ექნება, ისეთი ხარისხის ჩაი მო- ვიყვანეთ, რომ პირუტყვებიც კი სიამოვნე- ბით შეექცევიან!..

„ჯილდოს ღირსია, საქები“

(სოფ. ვინსალი. ყვარელის რაიონი)

სასადილო აქვს ტექნიკუმს ჯილდოს ღირსია, საქები, ხორცს იმარაგებს, იკვლება: ძროხა, კამეჩი, ზაქები

და სავალალოც ეს არის: ხორცი რად უნდათ ნეტავი — კერძში ხომ ისეც ბევრია „მხეცები, რკინის მკვნიტავი“?!

ს. არ—ლი.

დღესაც დააქროლებს...

სარფიჭალის კოოპერატივის თავმჯდომე- რემ ვანო პატარაკაცმა ფიცარი მოიტანა. გლეხებს ფული არა აქვთო. იფიქრა და ხალ- ხის გულის შემბატყვარმა, „ნეგნეტურ“ თეთრ შუშხუნა, ღვინოზა გადასცვალა...

ამხანაგო ნიანგო!

ამხ. ნიანგო!

ქობულეთის ამხ. ჩერნოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეს რამო- დენიმე ხანია მეორე თანამდებობასაც მოჰკი- და ხელი: თავმჯდომარეობასთან ერთად მო- ლარეობაც შეითავსა და ამ გზით კოლმეურ- ნეების ობლიგაციები მიითვისა. არ ვიცით რომელი ტირაჟში, რამდენი მოიგო ამ ობლი- გაციებმა, მაგრამ ის კი გავიგით რომ ჩვენმა თავმჯდომარემ ვილაც დიდი კაცის გული მოიგო და ხმას არავინა სცემს. შენ მაინც მოგვეშველე ამხ. ნიანგო.

უოგლიგაციოთ ღარჩენილი.

ამხ. ნიანგო!

სოფ. თხვენისის მცხოვრები, განკულა- კებულის შვილი ივანე ხერაპიონის ძე მაჭა- რაშვილი ჩვენს სოფელში შესივლად ითუ- ლებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ეს ვაჭბატო- ნი ტფილისში გადმოსახლდა, სამწლიანი პასპორტი აიღო და განცხრობით ცხოვრობს ვარდისუბნის ქუჩაზე № 23-ში. მილიციის მე-11 განყ. მესვეურები თურქე ასე მსჯე- ლობენ: „მერე რაა, რომ თხვენისში შავსიე- ლი იყო, იქიდან აქ ჩამოსვლით კაცი შეიცვ- ლის ფერს და ეს შავი სია რაღა ბედენაა რომ ფერი ვერ შეიცვალოს“. თუ კი მართ- ლა ასეა, შენც ნუ დაიზარებ ამხ. ნიანგო, შეიარე მილიციის მეთერთმეტე განყოფილე- ბაში და ამ ყმაწვილებსაც უცვალო ფერი.

ფხვენისელი


რეცეპტი

— ეჭიპო, დამრეცე და მით უძილობა, ვშფოთავ და ნერვები სრულად ამეშალა, წუთითაც ვეღარ ვგრძნობ სულს დამშვიდებამ, ეჭიპო, მეკარგება თანდათან მე ძალი, წამალი მჭირდება, მასწავლე, თუ იცი, გული მებუთება, ღონე მიღუნდება! — „ნიანგი“ იკითხე: თვალს მოკრავ თუ არა, ჯანი და ხიმშივლე წამს დაგიბრუნდება.



— მიშველე ძმობილო, ცოლი მენათება, დალევსა ოჯახში ჭიქები, სკამები სარკე, საინები, საწოლი მაგინდა ვერაფრით ვამშვიდებთ; ჯავრი თ ვეწამება... არ ვიცი რა ვუყო, ვერ შევლის მკურნალს. მასწავლე წამალი, წამალი მჭირდება! — „ნიანგი“ მიეცი ხელში წასაკითხად! — თვალს მოკრავ თუ არა, ხელათ დამშვიდდება.

— ჯამგე გვყავს ძმობილი ჩვენ ბიუროკრატია არ შევლის ორევა და მუშკორ თა მბილება, ჩალოთაც არ ავდებს არავის, არაფერს, ახლოს არ გვიკარებს, მუდამ იღრინება. ამაყობს „სპეცობით“ საქმეს არ დავიდვს, ერთი თვის პროგრამა წლის შემდეგ სრულდება. — ნიანგი მიეცი ხელში და ჩახატულს თავის თავს რომ ნახავს, ხელად მორჯულდება!



— ეს კაცი მე თითქოს მახსოვს და მინახავს, მუდამ პირბაღია და საბე მზინი, იერი უხატავს რეინის ნებისყოფას, თვალი აქვს ციმციმა და ხალისიანი. სამოც წელს ვასცილდა, — ოცა წლის ჭიბუკს გავს, არ შეთეთრებია თმანი და წვერია: ვინ არის თუ იცი? იქნებ მომაგონოთ! — „ნიანგის“ წლიური ხელისმომწერია.

სამი უკატი

მოქმედება სწრაფობს მილიციის მეათე განყოფილების საპასპორტო პაეიდის განკარგებას — ძიმიტარაშვილის კაბინეტში და კა...
 — ერთთან, კაბინეტში შემოდის სტუდენტი ეს ძიმიტარაშვილის მიმართავენ:
 — ყოველგვარი საბუთები მაქვს, პასპორტი მინდა — და ქალღმერთს დაუწყობს მავადიანზე.
 — გარეობილავთ და გამოვირკვევო.
 — ერთი თვეა აქ დავდივარ, ცოტა დაჩქარება არ შეიძლება?
 — ესეი სამწლიან პასპორტს თხოვლობ და ერთ დღეს გინდა ყველაფერი მოაგვარო?
 — რილის შემოვიარო?
 — არი კვირის შემდეგ, როცა მოგება-ხაითოს, მოდი და გიპასუხებთ: გერგება თუ არა.
 — ცოტა ადრე არ შეიძლება? სტუდენტი ვარ, ნუ გამაყდენთ.
 — სტუდენტი? მოკლილი ყოფილხარ, ხარე რა, გენადილება!
 — დრო არ მაქვს, ისტორიას გაბარებ.
 — ნუ დამიწყებ ისტორიას, ჩემი სიტყვა განონია. მოჩა და გათავდა...
 მოქმედების იგივე ადგილი. დილის შედი

საათია.
 ძიმიტარაშვილის კაბინეტში შემოდის ახალგაზრდა ქალი.
 — მეგონა ტყუილად არ მომიხდა მოსვლა, დაპირების თანახმად...
 — დიან... დიან... მობრძანდით, დაბრძანდით, თქვენ ბინაში როგორ არ ჩავწერთ! — მიიპატივებს ძიმიტარაშვილი ახალმოსულს.
 — მოწმობები სულ მზად მაქვს, შემოწმებულთა, მეგონა დღეს მაინც გამოკეთებთ საქმეს.
 — გაგიკეთებ, როგორ არ გაგიკეთებ, სიამოვნებით გაგიკეთებ!
 ქალიშვილი (სახელად ლიდა ჰქვია) გადასცემს საბუთებს, ძიმიტარაშვილი სკამს ახლოს მისწევს ლიდასაკენ და საბუთებს ათვალთვრებს.
 — მშობლები გყავს?
 — არა ბატონო, ობოლი ვარ.
 — ობოლი? მერე რამ დაგადონა ქალი, მე ცოცხალი ვიყო, თორემ თბლობას როგორ გაგრძნობინებ?
 — დიან, ვიცი ბატონო, რომ თქვენ ერთილი ვიცი ხართ, ვიცი, რომ ჩაწერის უფლებას მომცემთ; ამეპად კი სხვა არაფერი მიჭირს.

— უფლებასაც მოვცემ და... ქალღმერთი უხასიათო კარა ვარ. (უფრო ახლოს მიმსწევს).
 — სხვა არაფერი მინდა, ამხანაგო, მხოლოდ ჩაწერასა გათხოვთ.
 — როგორ თუ არ ვინდა, უნდა მოინდომო, ახალგაზრდა ქალი ხარ, უნდა გაიხარო, დრო უნდა გაატარო, ისე ხომ არ იქნები! — ძიმიტარაშვილი კალთასთან მოუჩინებდა ლიდას.
 — ჩაწერა ვინდა?
 — ერთი თვეა მაგისტრის დავდივარ.
 — სიარული აღარ დაგვირდება.
 — ძალიან მადლობელი ვიქნები.
 — მე უფრო მადლობელი ვიქნები, ხომ იცი...
 ძიმიტარაშვილი ხელს წაატანს ლიდას; გარეც რიგში დამდგარ ხალხს, ძიმიტარაშვილის კაბინეტიდან გამოვარდნილი შემინებული ლიდაც ემატება...
 * * *
 იღვილის უჭონლობის გამო დანარჩენს აქ ვეღარ ვათავსებთ. მილიციის მეათე განყოფილების უფროსს შეუძლია შესაძვე სურათი ძიმიტარაშვილის კაბინეტში იხილოს...
 სმამამი

ს ი ა ნ გ ზ ე

საბჭოთა
საქართველო

1936 წელს „ნიანგი“ გამოვა ჩვეულებრივი დიდი ფორმატით.
ჟურნალში მონაწილეობენ:

ბ. თოდრაძე
ს. ეული (კუმბარა)
მის. ფაფავაძე
ა. გრიშაშვილი
ხ. ფაშალიშვილი (ფარსადანი)
ნ. ლორთქიფანიძე
ხურ. კლდიაშვილი
სოზიკა
მეღუწა
ი. ნინველი (ახელი)
გ. ქუჩიშვილი
რაფ. გვეტაძე

გრ. ცეცხლაძე
გერ. შუბიძე (სეგვირ-ბენ-შეინ)
აღ. მალუღარი (აღლიარ-საღ-
ლარხანი)

სინემატო
კ. აღმაშობი
კ. ბობოხიძე
შ. შხუნელი
გ. ივანიშვილი
გ. ნუცუბიძე (გოგია)
პ. თბოლი
სიმონ-ალა

კოსტაიდი
კაენელი გვიკა
შხლინსკი ბომბი და სს.
მხატვრები:

ლ. გუდიაშვილი
ს. ნადარეშიძე
მ. კიაურელი
ი. ქიქიაშვილი
ო. შერლინგი
გ. კრატკოვი
გ. თოძე
გ. ისაევი
ა. მარიაშვილი და სს.

ჟურნალზე ხელის მოწერის ფასი შემდეგია:

1 წლით—12 მან.
6 თვით—6 მან.

3 თვით 3 მან.
1 თვით—1 მან.

საბჭოთა საქართველოს ფოსტის და სოიუსავიატის შველა განყოფილებებში
ქაღალდის გეგმიანი მომარაგების გამო ჟურნალის ხელზე გაუიდმა განსაზღვრულია.

ბ. გომოჯორელს (ქუთაისი). გვწერთ, რომ თქვენთვის დღესასწაულის სიხშირის ხელშეწყობაზე.

გამოვიდა რიხით დირექტორი ჩვენი მისცა ზოგიერთებს ხარუქარი, მღვინი. არა მართლაც, თუ, ცარიელი ხიტუვით. აწი თქვენ იცოდეთ, ნიანგი, რას იტყვით.

თქვენ არ ასახელებთ თქვენი დირექტორის ვინაობას. თუ კი ასეთი დირექტორები სხვაგანაც არიან.

ჩინაშვილს (ბათუმი). გვწერთ, რომ თითონ აბრეშვილი ტყვიანობის მოსვლას ამ პოემის მოსატანად, კარგი გეგმით, რომ არ წამოასრულბარო, თორემ ქაღალდისა და მედლის ამდენ ამო ხარჯს საუბარო ხარჯიც დაემატებოდა. ჩვენ ვბეჭდვით თქვენი წერილის დასასრულს:

აბა აბა ვივარდით ახალ პოემას,
მის რი თარხანს, ანუ თარხანს.
მის წავიკითხე და გამოამარჯხე
აბრეშვილს, თვითონ.



სიბეროვანი გიბრათ, ბევრი ვიცინეთ ამა-
ზე რადგან თქვენ არეული გაქვთ სიტყვების
შეშინებლობა:

ვარჯიშის მაგიერ—ორიანტი
აბლოდისმენტის მაგიერ—აბრეშვილი
ოვაციის მაგიერ—ოვაცია

ამის შემდეგ თითონ თქვენ გასაჯეთ
თქვენი პოემის ბედი. მაგრამ ჩვენ მაინც გა-
ჯილდოვებთ „ნიანგის“ ორდენით“.

მ. ბე—ლის (თელავი) ჩვენ დღემდე არ
ვიცოდით თუ:

ზეციდან მოდის წვიმა,
ეცემა იგი მიწას,
რას ერჩის აბრეშვილს,
იგი ხამშობლოს იცავს...

თითონ თქვენ რას ერჩით აბრეშვილს?
რა შუაშია იგი აქ? სად სცალია თქვენთვის?
გორჩვევით, რომ თავი დაანებოთ აბრეშვილს,
აგრეთვე პოეტობასაც და ხელი მოჰკიდოთ
ასტრონომიისა და ბუნების მოვლენებს შეს-

წავლას. 30 წლის ყოფილობით და ამთავი-
დანვე გეტყობათ, რომ ამ დარგში დიდი ხი-
ტი გაქვთ.

ონტოვალს (აბაშა) კოლიმუ მათს თო-
მას შესახებ გვწერთ, რომ:

თომას უყვარდა ქვიფი
და ხშირად სუფრის გაფენა
სხვადახსნა საქონელია
სახლისკენ ჩუმად გაფრენა.

ეპოს ართმევს, ვიბრებს აძლევს,
ღმერთი როგორ წახდენსა,
რას უშვებდა ჩვენი თომა
განაქაფსა ამოდენსა?

ამ ბრალდების დასამტკიცებლად საჭი-
როა მეტი საბუთები. ამიტომ თქვენს ღვაწლს
ვერ ვბეჭდვთ.

შეცდომის განხილვა

ჩვ. ჟურნ. № 18-ში გამოშვების უყურადღებობა 16 გვ
გაიპარა შეცდომა დაბეჭდილია: ამ. წულუკიძის ხა-
სტამბა, უნდა იყოს: ა. ღ. მისანიჭოვის ხა. სტამბა
და სხვ.



— „ჩემს ბაღში“ ამ ადგილას კალია ევის ვიწრო ბილიკი იყო... სიზმარით მან-სოფს... თქვენ კი ვინ იცის რას არ მოესწრებთ...

პ. მგ. რედაქტორი ს. ეული

რედაქცია: ჯორჯიაშვილის 5.

ტელ. 3-58-21.

ა. დ. მინაიკოვის საბ. „ზარია ვასტკას“ წითელდროშოვანი სტამბა. შვკვ. 2836 მთავლ. № 7246.

ტირაჟი 17000.